ლიტერატურული
ოდისეა

მაქს ფრიში

მონტოკი

გერმანულიდან თარგმნა **მაია ფანჯიკიძემ**

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მკითხველო, მინდა შემოგთავაზო გულახდილად დაწერილი წიგნი, რომელიც დასაწყისიდანვე გაუწყებთ, რომ მე მამოძრავებდა კერძო მიზნები და საკუთარი ოჯახის ინტერესები... წიგნის მიზანია, ერთგვარი სიამოვნება მიანიჭოს ჩემს ნათესავებსა და მეგობრებს ჩემი გარდაცვალების შემდეგ, შესაძლებლობა მიეცეთ, აქ მონახონ ჩემი ხასიათისა და ბუნების ზოგიერთი თვისება... ვინაიდან საკუთარ თავს აღვწერ, მსურს, ისეთად დამინახონ, როგორიც ბუნებრივ, უბრალო და ჩვეულებრივ ყოფაში ვარ - უშუალო და ძალდაუტანებელი; ჩემი შეცდომები, არასრულყოფილება და გულუბრყვილობა იქნება წარმოდგენილი იმდენად, რამდენადაც საზოგადოებისადმი პატივისცემამ მომცა ამის შესაძლებლობა... ამგვარად, ჩემი წიგნის საგანი თავად მე ვარ, ეს კი, მკითხველო, იმის საბაბად არ გამოდგება, რომ თავისუფალი დრო ასეთ არასერიოზულ და ამაო საქმეს დაუთმო. მაშ, მშვიდობით!..[1]

დე მონტენი

1580 წლის 1-ლ მარტს

---

[1] ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ

ფირნიში, რომელიც კუნძულზე ხედს გვპირდება: Overlook. აქ შეჩერება კაცმა შესთავაზა. სულ ცოტა ასი მანქანის სადგომი, ამჟამად ცარიელი. ქალის მანქანა ერთადერთია ასფალტზე დახაზულ ბადეზე. დილაა. მზიანი. ბუჩქები და ჯაგი ცარიელი სადგომის გარშემო; მოკლედ, ხედი არსადაა, მაგრამ ბილიკია, რომელსაც ჯაგნარში შეჰყავხარ, და დიდხანს არ უფიქრიათ: ბილიკი მიგვიყვანს გადასახედამდე. შემდეგ ქალი მანქანასთან ბრუნდება. კაცი ელოდება; დრო აქვთ. მთელი შაბათ-კვირა. დგას და არ იცის, იმწამს რას ფიქრობს... ბერლინში ახლა უკვე დღის სამი საათია... ისე, ლოდინი არ უყვარს. ქალი მიხვდა, რომ ატლანტის ოკეანეზე გადასახედად, კაცმა რომ თქვას, ხელჩანთა არ სჭირდება. კაცს ეს ყველაფერი ჯერ არანამდვილი ეჩვენება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უბრალო სინამდვილესავით აღიქვამს: ბუჩქების შრიალი, შემდეგ ქალის შარვალი (გახუნებული ცისფერი, რასაკვირველია) და მისი ტერფები ბილიკზე, უამრავ ტოტსა და რტოს შორის მისი წითელი თმა. ღირდა მანქანასთან დაბრუნება: Your pipe. მერე ისევ დაწინაურდა; აქა-იქ იხრება გაბურდულ შტოებს შორის, და მერე კაციც იხრება იმავე შტოებს შორის, როცა ის უკვე წელგამართული მიაბიჯებს ჯაგნარში. ბილიკს ვერც ეტყვი, ალაგ-ალაგ იკარგება, გაველურებული ბილიკი. ჯერ თავად გაუძღვა წინ: როგორც კაცი, მაგრამ მისთვისაც უცხოა იქაურობა. ერთგან ჭაობიანი თხრილი შემოხვდათ, ქალს ხელი შეაშველა, მას მერე ის მიუძღვის წინ. კაცსაც ასე ურჩევნია. ქალს უხარია, მსუბუქ და მკვირცხლ ნაბიჯებზეც ეტყობა. ატლანტის ოკეანე შორს არ უნდა იყოს. ზევით, ცის კამარაზე ერთადერთი თოლია.

სიარულშივე ირჭობს ჩიბუხს პირში და უკვირს, ოღონდ არ აინტერესებს, რა აკვირვებს. აქა-იქ ყვავილების სურნელი დგას; აზრზე არ არის, რა ყვავის; უცხო მცენარეებია. კაცმა პირობა მისცა, მანქანას, როცა გინდა, იოლად მივაგნებო და ქალიც, ეტყობა, ენდო. ჩიბუხის მოსაკიდებლად უნდა შედგეს, ქარი უბერავს, ხუთჯერ უწევს ასანთის გაკვრა, ამასობაში ქალი წინ მიიწევს, უცებ, რამდენიმე წამით, თვალს ეფარება; რამდენიმე წამით ეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ფანტაზიის ნაყოფია ან შორეული მოგონება: აქ სიარული ახალგაზრდა ქალთან ერთად. კაცმა რომ თქვას, ბევრი ბილიკია თუ ბილიკისმაგვარი; ამიტომ შეჩერდა ქალი: ახლა საით? გუშინ ნაყიდი რუკა მანქანაში დარჩა; აქ დიდად მაინც არ გამოადგებოდა. მზეს მიჰყვებიან. ბილიკი საუბრის საშუალებას არ იძლევა. სადაც ჯაგნარი არ არის, იქიდან მთელი არემარე მოჩანს: არ ეუცხოება, თუმცა აქ ცხოვრებაში ფეხი არ დაუდგამს. ეს საბერძნეთი არ არის; სულ სხვა ფლორაა. მაინც საბერძნეთი ახსენდება, შემდეგ კი კვლავ ზილტი. არ სიამოვნებს, რომ მოგონებებს თავს ვერ აღწევს. უკვე ნახევარი საათია მიდიან. ატლანტის ოკეანის ნახვა სურთ. სხვა საქმე არა აქვთ; დრო აქვთ. ეს არც ბრეტანია, სადაც ბოლოს ერთი წლის წინ იყო ზღვაზე. სანანპიროს ჰაერი იქაურს წააგავს. მგონი, ისევ ის პერანგი აცვია, ისევ ის ფეხსაცმელი, ყველაფერი ერთი წლით დაძველდა. მან იცის, სად არიან:

მონტოკი

ინდიელების სახელია; აღნიშნავს ლონგ-აილენდის ჩრდილოეთის წვერს, ას ათი მილით არის დაშორებული მანჰეტენისგან, და თარიღის დასახელებაც შეუძლია:

11.5.1974

მხოლოდ ბილიკზე ჩამოშვებული ტოტები არ გაიძულებს დაკუზვას; აქა-იქ ძირსაც გდია გამხმარი ტოტი, ქალი ზედ ახტება. ძალიან გამხდარია, ოღონდ ძვალი და ტყავიაო, ვერ იტყვი. ჯინსი წვივებზე აუკარწახებია; პატარა საჯდომი ვიწრო შარვალში გამოკვართულა, ჯინსი უქამროდ აცვია; უკანა ჯიბეში კი სავარცხელი გაურჭვია. არც მასზე მაღალია და არც დაბალი, მაგრამ უფრო მსუბუქი. წითელი თმა, თუ გაშლილი აქვს, თეძოებამდე სწვდება; ახლა მაღლა აუკრეფია და ცხენის ძუასავით გამოუსკვნია, სიარულში აქეთ-იქით უქანავებს. რადგან ბილიკი, ბილიკი თუ ეთქმის საერთოდ, ფრთხილად სიარულს და ირგვლივ ყურებას მოითხოვს, რომ ამ ჯაგნარს თავი დააღწიონ, მის სილუეტს მხოლოდ დროდადრო ხედავს; მზის შუქზე ღია ფერის ზედატანი, მზეში ახლა თმაც უფრო ღია ფერის უჩანს. ხშირად გზის გაგრძელება ვარაუდით უწევთ; ბილიკი არ ჩანს. ხანდახან ქალი დიდ ნაბიჯს დგამს, რომ ქვაზე ან ხის ჯირკვზე ახტეს; გრძელი ფეხები, მაგრამ უფრო დიდზე აბიჯებს და სხეული ვერ ეწევა. მარტო რომ იყოს, მაინც ასე იზამდა: თავის მკვეთრი მოძრაობა, რომ ცხენის ძუა მხრებს უკან მოიგდოს. სულ უფრო საეჭვო ხდება, მიაღწევენ თუ არა სანაპიროს. მაგრამ მაინც წინ მიიწევენ. მერე კი, ერთხანს, თითქოს ქიმზე მიდისო, ბაგირზე მოცეკვავესავით ადგამს ფეხს მეორე ფეხის წინ, ტანი მარჯვედ ეძებს წონასწორობას და პოულობს კიდეც. იქაურობა ჯერ კიდევ არ ჰგავს დიუნს; ცაზე თოლია არ ჭაჭანებს. ერთგან ჩერდება, რომ სახელოები აიკაპიწოს; აქ, ამ ვიწრობში, ცხელა; ზღვიდან ნიავი არ უბერავს. ერთად რომ დგანან, როგორც ახლა: ორი ადამიანის უცნაური ერთად ყოფნა. კაცი ამჩნევს, რომ ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში ჩაუწყვია, პირში კი ჩამქრალი ჩიბუხი უდევს.

ქალის სახე: კაცს არ დავიწყებია, მაგრამ დიდი შავი სათვალე უკეთია და თვალები არ უჩანს. ტუჩები დღისით წვრილი აქვს, ხშირად დამცინავი.

HOW DID I ENCOURAGE YOU?

დღეს არ დაუსვამს ეს კითხვა, არამედ გუშინ, აქეთ რომ მოდიოდნენ; ეტყობა, უკვირს, კაცს როგორ უკვირს, რომ ის ახლა მის გვერდით დგას.

WHEN DID I ENCOURAGE YOU?

კაცს თვითმფრინავის ბილეთი სამშაბათისთვის აქვს დაჯავშნილი.

თავიდან მეგონა, ერთი ჩვეულებრივი, ფოტოაპარატზე გაგიჟებული გოგოა, შემთხვევას რომ ხელიდან არ გაუშვებს, უცებ ჩაიკუზება და ჩააჩხაკუნებს-მეთქი, მოგთხოვს, ასე დაჯექიო და მერე, როცა ბოლოს და ბოლოს დაგავიწყდება მისი არსებობა, ისევ ჩააჩხაკუნებს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ. მაგრამ მას ფოტოაპარატი არ აქვს. მხოლოდ ზის და დუმს, არ გაწუხებს, სანამ რომელიღაც უბადრუკი გაზეთის ჟურნალისტი მთელი საათის განმავლობაში სვამს კითხვებს: Have you been in this country before და ა.შ. ინტერვიუ პირად საკითხზე. Are you married, where in Europe are you living, do you have children და ა.შ. ახლა ეს ყველაფერი ამ ახალგაზრდა ქალმაც იცის. ერთხელ ტელეფონსაც პასუხობს, რადგან აპარატთან ზის და მშვენივრად ართმევს თავს ამ საქმეს; მადლობას ვუხდი. What are you going to write next, play or novel or another diary? კმაყოფილება მეუფლება, რადგან ეს ყოველთვის ბოლო შეკი-

თხვაა, სულ ცოტა, ბოლოს წინა. ამერიკულ საზოგადოებას ვუცხადებ: ცხოვრება მოსაწყენია, მხოლოდ მაშინ განვიცდი რამეს, როცა ვწერ. კაცმა რომ თქვას, არ ვხუმრობ; კაცს მაინც ეცინება. ქალს – არა. როცა შემდეგ მოთეთრო ბურძგლიან ქურთუკს ჩასაცმელად ვაგებებ, ზრდილობის გულისთვის კიდევ ერთხელ ვეკითხები სახელს. Lynn, მპასუხობს, თითქოს მხოლოდ სახელი კმაროდეს. მისი გრძელი, გაშლილი თმა: ხელს უშლის ქურთუკის ჩაცმაში და მე ვერ ვეხმარები, საკუთარ ხელს შეხების უფლებას არ ვაძლევ. კიდევ ერთი კითხვა, ბოლო: Do you consider yourself a doomed man? მოგვიანებით აღმოვაჩენ, რომ სიგარეტი დარჩენია, კვესიც. ორი კვირა იდება სანათის ქვეშ, იაფფასიანი მწვანე კვესი.

აქ მართლა რა მესაქმება?

გარეთ უპალტოოდ გასვლა შეიძლება; ქარბუქში ჩამოვედი, მაგრამ მალე ისევ გაზაფხული დადგა... ქალების ციხე ქუჩის კუთხეში, ყავისფერი აგურის მაღალი ნაგებობა, დაუნგრევიათ; მის ადგილზე ქვიშიანი მოედანია, მავთულხლართებით შემორაგული, მტრედები ღუღუნებენ გალიაში, თუმცა, გალიას, როცა უნდათ, მაშინ გადაუფრენენ. სხვა მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა ამ ორ წელიწადში. პატარა ხეები მეცხრე ქუჩაზე, ოდესღაც დარგული, ახლაც მაშინდელივით წვრილი და უსუსურია; მაგრამ ამწვანებულან (მამაცი ქლოროფილები!), იქ, სადაც ისევ ვსაუზმობ, კვლავ ძველი გუნდი მემსახურება. ყვითელი ტაქსი, ნაგვის შავი, პრიალა პარკები ქუჩის პირას, წითელი სახანძროს სირენა. სასტუმროში ძველი კლიენტი იცნეს: Did you have a good time? ოთახი სხვაა, ვიდრე ორი წლის წინ, მოწყობილობა – ზუსტად იგივე: მარმარილოსზედაპირიანი დაბალი მაგიდა, რომელზეც ფეხები შეგიძლია შემოაწყო,

ყვითელი ტორშერები, ლოგინის ყვითელი გადასაფარებელი, ძირს მწვანე ხალიჩა, ჩირქის ფერი სოფა, არცთუ მოუხერხებელი, ორი იმავე ფერის სავარძელი, კონდიციონერის ნაცნობი ზუილი, მაგრამ გამორთვა შეიძლება; ასაწევი ფანჯრები ნახევრად იღება, დაფუტუროებული ჩარჩო ზევით იწევა, მინები ყოველთვის ჭუჭყიანია; ფანჯარა ძალიან დაბალზეა; სიფრთხილეა საჭირო, გზაჯვარედინს თუ გინდა გადახედო; მხოლოდ ოცნებაში დაფრინავ საკუთარი ძალით.

MAY I INTRODUCE YOU

სახელები ვერ გავიგონე ან მაშინვე დამავიწყდა, ვდგავარ და ვპასუხობ და აღარ ვიცი, ვის ვუპასუხე. რატომ ვიქცევით ასე? საჭიროა (ამბობს ჩემი გამომცემლობა), წიგნისთვის...

LYNN

შემიძლია, რამე სამსახურებრივი მოვიმიზეზო და დავურეკო. იქნებ ვახშამი შევთავაზო; ქალი თუ მომეწონა, თავი თავხედი მგონია.

HUDSON

რამდენიმე ჩაკურატებული თოლია ნავსადგურის თავზე, შეხვედრა წყლის გაზინთულ ანარეკლთან. ძველი გემი ისევ ღუზაზე ირწევა. დახავსებული ჯაჭვები. ვერტმფრენი. ქარია, შავი წყალი ჯებირს ეხეთქება, ხის ჯებირი ორი წლის წინათაც დამპალი იყო. დიდი თეთრი სატვირთო გემი, რომელიც ალბათ ხვალ გავა ზღვაში, წყნარად, უძრავად დგას, Statendam, ჰოლანდიური დროშა ქარში. უკან, ძველი ხიმინჯებიანი გზატ-

კეცილია, ახლა არემონტებენ. პატარა, ბნელი ბარიც ისევ არსებობს, სადაც ბილიარდს თამაშობენ; Blue Ribbon – განათებული აბრა ბინდში წითელ ლიმონათს წააგავს. ამწუთას დასავლეთით გაზინტლული მზე ჩადის; გრძელი შავი სატვირთო გემი ეფარება. სანაპიროზე რამდენიმე კაცია, ჩემსავით უსაქმოდ. ახალგაზრდა შავკანიანი ზიგზაგებით დაატარებს ველოსიპედს. უკიდურეს კიდეზე ჩახუტებული წყვილი ზის, ჩრდილის კონტური ჩანს. მოხუცი კაცი ძაღლით. კიდევ ერთი ძაღლი უპატრონოდ. კანაფის გრძელი, სქელი ბაგირები. ლუდის ქილა ქარში მიგორავს.

AMERICAN ACADEMY OF ARTS AND LETTERS:

ვდგები და მადლობას ვიხდი.

MUSEUM OF MODERN ART:

ხელოვნებას ვაცდენ და მთელი დილა ბაღში ვზივარ. ალბათ ხელოვნება ჩემი საქმე არ არის, როცა მარტო ვარ. მსიამოვნებს ხეებქვეშ ჯდომა. უკვე ოცი წელი და მეტია ამ ბაღში (მური, პიკასო, კალდერი და სხვ.) ვზივარ:

1951
1956
1963
1970
1971
1972

გზაში ისევ მეუფლება განცდა, რომ სხეული ამიმჩატდა, ძალი-

ან მჩატეა, თითქოს ხანგრძლივ სიარულს მიზიდულობის ძალა შეემცირებინოს: მეჩვენება, რომ ყველაფერი, რასაც ვუყურებ, გამოვა, ოღონდ არ უნდა გამოვთქვა, უნდა გავაკეთო.

CENTRAL PARK:

სარწმუნო წყარომ მასწავლა, ის ცნობილი ციყვები, სინამდვილეში, ციყვები კი არა, ნუტრიები არიანო. ადრე აქ ციყვებიც ყოფილან. ნუტრიებს ციყვებივით წითური ფერი არა აქვთ, მაგრამ მათსავით ტანმორჩილები არიან. წუთების განმავლობაში შეგიძლია ახლოდან უყურო, ისეთი თვინიერები არიან ნუტრიები. ციყვებისგან კი იმით განსხვავდებიან, რომ ციყვებს ანადგურებენ.

WHITE HORSE:

მწერალს ეშინია გრძნობების, რომლებიც გამოსაქვეყნებლად არ გამოდგება; მერე ირონიის მოძალებას ელოდება; საკუთარ აღქმას ეჭვით უყურებს, ღირს თუ არა ამ გრძნობების აღწერაო და არ სიამოვნებს, რის სიტყვებად ჩამოსხმასაც ვერ ახერხებს. მწერლის ამ პროფესიული დაავადების გამო ზოგი ლოთდება.

SANITATION:

ისევ ძალიან ადრე მეღვიძება. დილაუთენია ძაღლები და ფინიები გამოჰყავთ ქუჩაში, საბელებით აკავებენ, სანამ მოისაქმებენ. ძაღლებს მიძღვნილი ერთი საათი დილაობით, ძაღლებს მიძღვნილი ერთი საათი საღამოობით. კარგად უნდა დაიხედო წინ, სანამ ნაბიჯს გადადგამ. ძალიან უყვართ თავიანთი ძაღლები და ფინიები, აშკარაა, სიყვარულის მოთხოვნილება

ტანჯავთ აქაურებს, მათ საყნოსავიდან საყნოსავამდე ეწევიან და მოთმინებით ელოდებიან, გინდაც წვიმდეს. მარტო წითელ შუქნიშანზე არ უთმობენ ძაღლებს და უძალიანდებიან, სანამ მწვანე არ აინთება. წაბილწულია აქაურობა. ზოგს ერთი კი არა, რამდენიმე ძაღლი ჰყავს. მთელი გარემო სიყვარულს ელტვის. მრგვალცოცხებიანი თეთრი მანქანა ყველაფერს ვერ წმენდს. რაღაც მაინც ყოველთვის რჩება.

LONG DISTANCE:

ქალი რომ ტელეფონში ტირის, აღარ ვიცი, რა ვქნა, უსუსურობის განცდა მეუფლება; მაჯაზე ხელის ჩაჭიდება რომ შემეძლოს – თუმცა, შეცვლით ესეც ვერაფერს შეცვლიდა.

FIFTH AVENUE HOTEL:

იატაკზე გადაკრული ხალიჩა დღისით (როცა ყვითელი ნათურები არ ანათებს) ლურჯი უფროა, ვიდრე მწვანე. ამწუთას მზე დანათის, ირიბ ოთხკუთხედად ეცემა შუქი, მაგრამ ფეხებთან ჰაერი გრილია. წავიკითხე და ვიფიქრე, რას ვკითხულობ: უცებ კანსაც აღმოაჩნდა მახსოვრობა: „გაზაფხულო, ჰო, შენ ყოფილხარ!“[1] შენ და შენი მზე ამ ნაცნობ ხალიჩაზე; ერთხელ ვაკოცე კიდეც, „შენ შეგიცანი!“ უცებ კითხვა (ფიქცია) ვეღარ ეხიდება კანის მეხსიერებას; წინდებს ზევით შიშველ წვივებზე სიგრილე შვრება; ღია ფანჯარაში არ შემოდის ჩიტების ჭიკჭიკი, მხოლოდ დიდი ქალაქის ტრანსპორტის ხმაური, განსაკუთრებით კი: ავტობუსები რომ დაიძვრებიან მწვანე შუქზე, მეხუთე ავენიუს და მეცხრე ქუჩის კუთხეში. ფეხსაცმელგაუხდელ ფეხებს

---

[1] გერმანელი პოეტი რომანტიკოსის, ედუარდ ფრიდრიხ მიორიკეს (1804-1874) ლექსი

ისევ ვაწყობ დაბალ მაგიდაზე და მუჭიდან შევექცევი თხილს.

MY GREATEST FEAR: REPETITION

იელის უნივერსიტეტის ამერიკელი სტუდენტი არ სვამს ლიტერატურის კრიტიკოსების გაცვეთილ კითხვებს; იგი მეკითხება: მართლა სურს შტილერს იულიკას ხსნა თუ უპირველეს ყოვლისა უნდა, რომ თვითონ იყოს მისი მხსნელი?

WASHINGTON SQUARE:

ქვის მაგიდებზე მოჭადრაკეები ყინვაგამძლე ფიგურებით თამაშობენ, მათ ზევით – სიმწვანე და ჩიტების ჭიკჭიკი. აქ ხშირად ვჩერდები ხოლმე, მაგრამ ფეხზე ვდგავარ, არასდროს არ ვჯდები. დღეს ერთმა მკითხა, შავკანიანმა, ხომ არ გინდა ერთი პარტია ვითამაშოთო. მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობს, შევამჩნიე, და მაინც ვერ ვბედავ. მარცხს გავურბივარ? თუ გამარჯვებას? რადგან მაინც ვერაფერს შეცვლის; პირიქით, მერე პირს დააღებს ჩემი შინაური მარცხის ცნობიერება...

COMMERCE STREET 15

არც ერთ ძველ ბინაში არ მინდა ხელახლა ცხოვრება, არც ამ პატარა საყვარელ სახლში. თითო ოთახი თითო სართულზე. ქვევით სრულყოფილი სამზარეულო და სასადილო, გეგონება, კაიუტაში ხარ, დღისითაც შუქი ანთია; პატარა ფანჯრებიდან ზღვის დგაფუნი კი არ შემოდის, არამედ ტროტუარზე დაფენილი თოვლი მოჩანს; თოვლ-ჭყაპში გამვლელების ფეხები, ძაღლების კიდევ უფრო მკვირცხლი ფეხები. ზევით, სადაც მუშაობას ვცდილობდი ხოლმე, სახლი კიდევ უფრო ზანზა-

რებს; მძიმე და მძიმემისაბმელიანი სატვირთოების გრუხუნი გარიჟრაჟამდე დიდი ხნით ადრე იწყება, და გაჩერდება თუ არა ერთი წუთით შუქნიშანზე, მერე მეტრო აზანზარებს იქაურობას. მაინც მეჩვენება, რომ სახლში სიწყნარეა; სიჩუმე, თითქოს ყრუ ვიყო. მაცივრის ჩუმი ზუზუნი, საკუთარი ფეხის ხმა, გაზეთის გადაფურცვლის შრიალი. მესმის, როგორ ვარდება ფოსტა კარის ნაპრალში, გასაღები როგორ შედის კარის ჭუჭრუტანაში და როგორ ტრიალდება. ადრე ყრუ ვიყავი? მესმის, რაღაცას რომ მეუბნებიან და ვიჯერებ. ნამდვილი ზღვის ხმაურიც მოვისმინე, ფირფიტაზე ჩაწერილი (ქუჩის ხმაურმა რომ არ შეგაწუხოსო); მეგობრული საჩუქარი...

მოვისმინეთ, როგორ კითხულობს ნერუდა.

VIA MARGUTTA:

აი, რა შესძლებია თბილ ჰაერს, სინათლეს: უცებ რომში ამოვყავი თავი. მხოლოდ არქიტექტურული ფონი არ შეესაბამება, ამას ვხედავ. წარმოდგენა არა მაქვს, რას გავაკეთებდი რომში; ასეა თუ ისე, ამწუთას რომში ვარ ცოტა ხნით...

GOETHE HOUSE:

წარმატებული კაცი შეიძლება ლომვეშაპს ჰგავდეს, ქალები მარტო ყურადღებას კი არ აქცევენ, არამედ თხოვნაც არ სჭირდებათ, ისე დაუნანებლად აფრქვევენ საკუთარ მომხიბვლელობას. ქუჩაში რომ გავდივარ, სადაც ხალხის ნაკადში ვერავინ მცნობს, თავს ისევ ლომვეშაპად აღვიქვამ.

EIGHT STREET BOOKSTORE:

შუაღამისასაც რომ შეგიძლია წიგნების მაღაზიაში იდგე... პატარა ყვითელი ლანგენშაიდტი ვიყიდე, რომ მერე, თითქმის ყოველი გადაფურცვლისას შემეკურთხებინა საკუთარი მეხსიერებისთვის; ეს ხომ ერთხელ უკვე ვიცოდი:

SENSIBLE/ SENSITIVE / SENSUAL

ცნობას კონრად ფარნერის ციურიხში გარდაცვალების შესახებ ლიფტში ვკითხულობ, მაგრამ ამის გამო ჩემს სართულს არ გავცდენივარ. კონრად ფარნერი ბევრ უბედურებას ასცდა. გარდაცვლილ მეგობართა წრე იზრდება.

OLIVETTI LETTERA

ვერ ვეშვები, პატარა საბეჭდი მანქანა შევიძინე, ლიტერატურული მიზნები არ მაქვს და მაინც (მეოთხედ ჩამიფლავდა მოთხრობა, რომელიც ტესინში უნდა გათამაშდეს; მთხრობელის პოზიცია დამაჯერებელი არ არის) წინადადებების ბეჭდვის ვნება...

PRO MEMORIA

გილიოტინაზე მიმავალი ფრანგი არისტოკრატი კალამს და ქაღალდს ითხოვს რაღაცის ჩასანიშნად და აძლევენ. ჩანაწერის განადგურებას რა უნდა, თუკი სხვას უძღვნის. მაგრამ ასე არ არის. ეს ჩანაწერი მხოლო და მხოლოდ მისთვისაა: pro memoria.

რაც ნიუ-იორკში უნდა ვაკეთო, ციურიხში ან ბერლინშიც